ცხოველები

მაღალი დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

ცხოველები

მაღალი დონე

შინაარსი

შესავალი 2

ცხოველების სხეულის ნაწილები 3

ცხოველების თავშესაფარი..... 8

შესავალი

ცხოველები ცხოვრობენ ყველგან. ყველა ცხოველი ორგანიზმია ანუ ცოცხალი სხეულია. ისინი **იბადებიან**, **იზრდებიან**, **იკვებებიან**, **მოძრაობენ** და **მრავლდებიან**. ყველა ცხოველისთვის აუცილებელია **საკვები**, წყალი, ჰაერი თავშესაფარი. ყველა ცხოველისთვის აუცილებელია საცხოვრებელი ადგილი.

ცხოველების სხეულის ნაწილები

ზოგი ცხოველის **სხეულის ნაწილები** თავისებური ფორმისა და სხვადასხვა ზომისაა. მაგალითად, სპილოს გრძელი ცხვირი აქვს. სპილოს ცხვირს ხორთუმი ჰქვია. სხვა ცხოველებს არ აქვთ ასეთი გრძელი ცხვირი. ზოგ ცხოველს გრძელი კისერი აქვს, ზოგს - მოკლე. ზოგ ცხოველს გრძელი რქები აქვთ,

ზოგს - მოკლე. ზოგ ცხოველს გრძელი კუდი აქვს, ზოგს - მოკლე..

ცხოველებს განსხავებული **სხეულის ნაწილები** აქვთ. ცხოველების უმრავლესობას აქვს თავი, ტანი, კიდურები, თუმცა ზოგ ცხოველს კიდურები არა აქვს. ზოგ ცხოველს აქვს რქები, ზოგს რქები არა აქვს. ზოგ ცხოველს აქვს ეშვები, ზოგ ცხოველს - ნიჟარა. ზოგ ცხოველს აქვს კბილები, ზოგ ცხოველს - კბილები არა აქვს.

ცხოველები განსხვავდებიან **საფარველით**. ზოგი ცხოველის სხეული ბალნითაა დაფარული. ზოგ ცხოველს რქოვანი საფარველი აქვს, ზოგი ცხოველის სხეული მხოლოდ კანით არის დაფარული, ზოგის ქერცლით და ზოგის ბუმბულით.

ცხოველები განსხვავდებიან **შეფერილობით**. ზოგი ცხოველი თეთრია, ზოგი შავია, ზოგი ლურჯია, ზოგი რუხია, ზოგი - ჭრელი. ზოგ ცხოველს ზოლები აქვს, ზოგს - ხალები.

ზოგიერთი ცხოველი იცვლის ფერს. ფერის შეცვლა უკავშირდება ან წელიწადის დროის ცვლილებას, ან გარემოს შეცვლას. ქამელეონი მწვანე ბალახში მწვანეა, ყავისფერ ტოტზე - ყავისფერია. იგი სხვადასხვა ფერისაა წელიწადის სხვადასხვა დროსაც.

ცხოველთა თავშესაფარი

ცხოველები სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობენ. ზოგი ცხოველი ხმელეთზე ცხოვრობს, მშრალ და ცხელ ადგილებში, ზოგი ცხოველი - ცივ და ნესტიან ადგილებში. აქლემი ცხელ უდაბნოში ცხოვრობს, პინგვინი - ყინულოვან სანაპიროზე. ზოგი ცხოველი მიწის ზემოთ ცხოვრობს, ზოგი - მიწაში.

თევზები ცხოველები არიან. ზოგი თევზი მტკნარ წყალში ცხოვრობს - ტბებში, მდინარეებში, ტბორებში. ზოგი თევზი მარილიან წყალში ცხოვრობს - ზღვებში, ოკეანეებში.

როგორ მოძრაობენ და იკვებებიან ცხოველები?

ყველა ცხოველი მოძრაობს, მაგრამ მათი **მოძრაობა** განსხვავებულია. ზოგ ცხოველს ძლიერი ფეხები აქვს, სწრაფად **დარბის** ან **დახტის**; ზოგი ცხოველი **დახოხავს** და ნელა გადაადგილდება. ზოგი **დაცურავს**, ზოგი ცხოველი **დაფრინავს**.



.

ბალახისმჭამელ ცხოველებს კარგად განვითარებული საღეჭი კბილები აქვთ. საღეჭი კბილები ბრტყელია.

ხორცისმჭამელ ცხოველებს კარგად განვითარებული საჭრელი კბილები და ეშვები აქვთ. საჭრელი კბილები და ეშვები ბასრია.

ნაირმჭამელ ცხოველებს აქვთ თავისებური საღეჭი, საჭრელი კბილები და ეშვები.